პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
ხუთშაბათი
8
იანვარი
№ 6
(16436)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთწლედი თვითეული ჩვენგანის საქმეა!

დღეს ვაქვეყნებთ სკკპ XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის იმ ნაწილს, სადაც ფორმულირებულია ახალ ხუთწლედში საწარმოო ძალების განლაგება და მეურნეობის განვითარება საქართველოს სს რესპუბლიკაში.

ეს გრანდიოზული ამოცანები მოგვიწოდებს მთელი ენერგია მოვახმაროთ ახალი ხუთწლედის დიად საქმეებს, კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება შრომაში საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის, იმისათვის, რომ მეათე ხუთწლედი ეფექტიანობის, ხარისხის ხუთწლედი გახდეს.

ეს თვითეული ჩვენგანის ღირსების საქმეა!

საბჭოთა პასპორტი

ჩვენს ქვეყანაში დაიწყო ახალი ნიმუშის პასპორტების — სსრ კავშირის მოქალაქის მთავარი დოკუმენტის გაცემა. საზეიმო ვითარებაში, პატრიოტული აღმავლობის ატმოსფეროში გადასცემენ პასპორტებს პარტიული და საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლები, რევოლუციისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანები, ხუთწლედების გმირები. ყოველივე ეს წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს გულში, პასპორტის გადაცემას ღირსშესანიშნავ მოვლენად აქცევს.

ახალი პასპორტი, რომელიც ადასტურებს პიროვნებას, ამასთანავე ადასტურებს ყველაზე ძვირფასს — საბჭოთა მოქალაქეობას. ჩვენ ვართ ერთი დედასამშობლოს შვილები, რომლის სახელია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. ეს არის მშობლიური სახლი მეოთხედი მილიარდი ასზე მეტი ეროვნების თავისუფალი, თანასწორუფლებიანი მოქალაქეებისათვის, რომლებსაც უყვართ უსაზღვროდ თავიანთი მამული, არ იშურებენ ძალ-ღონეს მისი აყვავებისათვის.

საბჭოთა ადამიანები ამაყობენ იმით, რომ ჩვენმა ქვეყანამ დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ერა. კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით იგი მძლავრი სახელმწიფო, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბურჯი გახდა. ჩვენ ვამაყობთ ხალხთა უძლეველი მეგობრობით, ყველა მშრომელთა ერთიანი მისწრაფებითა და მოქმედებით ნათელი მომავლისათვის — კომუნიზმისათვის ბრძოლაში. ვამაყობთ იმით, რომ ჩვენში ყველაფერი კეთდება ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის. ამის ახალი დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი პარტიის XXV ყრილობისათვის, რომელშიც დასახულია მეათე ხუთწლედის გრანდიოზული გეგმები.

საბჭოთა ხალხის დიადი ისტორიული გამარჯვებებისათვის პატრიოტული სიამაყის კეთილშობილური გრძნობა შთააგონებს ქალაქებისა და სოფლების მშრომელებს ახალი მიღწევებისათვის. „ქვეყნის, სოციალისტური სამშობლოს სიყვარულზე გაასკეცებული მალალორგანიზებული შრომის ენერგიას შეუძლია სასწაულების მოხდენა", — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

მილიონთა თავდადებული შრომით, შემოქმედებითი ინიციატივით, საბჭოების ქვეყნის მოძმე ხალხთა ერთიანი მოქმედებით დაძლეულია კიდევ ერთი ისტორიული მიჯნა კომუნისტური მშენებლობის გზაზე — წარმატებით შესრულდა მეცხრე ხუთწლედი. ძალ-ღონითა და შემოქმედებითი შთაგონებით აღსავსე საბჭოთა ადამიანები აღფრთოვანებით იწყებენ მეათე ხუთწლედს — მშვიდობისა და აღმშენებლობის, მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ზრდის ხუთწლედს. ქვეყნის დღევანდელი დღე გაცისკროვნებულია საყოველთაო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ნათელი შუქით, რომელიც გამოწვეულია მშობლიური კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის მზადებით.

საგულისხმოა, რომ ახალმა პასპორტმა „მოქალაქეობრივი უფლება" შეიძინა მეათე ხუთწლედის დამდეგს. იგი შემოღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით, რომლებმაც შეიმუშავეს საპასპორტო სისტემის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი. ამიერიდან 16 წელს მიღწეული ყველა მოქალაქე იღებს უვადო პასპორტს. ამ დოკუმენტის ახალი ნიმუში, რომელშიც გათვალისწინებულია მშრომელების, საბჭოთა ორგანოების, სამეცნიერო დაწესებულებების წინადადებანი, ადამიანებს გაცილებით უადვილებენ პასპორტის მიღებას.

ПРАВДА
7 იანვრის მოწინავე

საპასპორტო სისტემაში შეტანილი ცვლილებანი ასახავენ საბჭოთა საზოგადოების ნამდვილ დემოკრატიზმს, სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ გარდაქმნებს ქვეყანაში, მშრომელთა ინტერესებს. ახლა ეს სისტემა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს იმას, რომ მოქალაქეებმა განახორციელონ უფლებები და თავისუფლებანი, შეასრულოს მოვალეობანი სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე, დადებით გავლენას მოახდენს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაზე.

სსრ კავშირის მოქალაქეებისათვის დამახასიათებელია დიდი პატივისცემა პასპორტისადმი. პასპორტით იწყებენ ისინი დამოუკიდებელ ცხოვრებას. იზრდებიან და ვაჟკაცდებიან როგორც საზოგადოების სრულუფლებიანი და თანასწორუფლებიანი წევრები. ამასთანავე პასპორტი თვითეულ მათგანს შეახსენებს, რომ საჭიროა განუხრელად იცავდეს საბჭოთა კანონებსა და ჩვენი ცხოვრების ნორმებს. თანამედროვე პირობებში, როცა კომუნისტური პარტიის ხანგრძლივი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისად წყდება ახალი, უფრო დიდი ამოცანები, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაღალი პასუხისმგებლობის, სამშობლოს წინაშე პატრიოტული მოვალეობის გრძნობის ჩანერგვას. აქ ფართო ასპარეზია გადაუნელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისათვის, ოჯახისა და ყველა საფეხურის სკოლებისათვის, შრომითი კოლექტივებისათვის.

საბჭოთა საზოგადოება ბევრს აძლევს ადამიანს, მაგრამ მაღალ მოქალაქეობრივ მოვალეობებსაც აკისრებს. მათგან მთავარია პატარასნად და კეთილსინდისიერად იშრომოს სამშობლოს საკეთილდღეოდ, იზრუნოს მისი ძლიერების განმტკიცებისათვის, იყოს მომთხოვნელი საკუთარი თავისადმი მუშაობაში, ყოფაცხოვრებაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში. სწორედ ასეთი თვისებებით გამოირჩევა მოქალაქეთა უმრავლესობა, და ისინი უნდა გამოიჩინოს თვითეულმა. ვერ შეურიგდებით პიროვნების უფლებების დარღვევის, ადამიანის ღირსების შელახვის თუნდაც ერთ შემთხვევას.

საპასპორტო დოკუმენტების გაცემა და გამოცვლა ხახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა. ამასთან დაკავშირებით დიდი ამოცანები დგას ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე. უნდა გავაძლიეროთ სამართლებრივი პროპაგანდა, მკაფიოდ გავაშუქოთ ჩვენი საპასპორტო სიხტემა, როგორც სოციალისტური დემოკრატიის კონკრეტული გამოხატულება. პასპორტების გაცემამ და გამოცვლამ, აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა ადამიანებისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის, პატრიოტიზმის, სამშობლოთი სიამაყის, მაღალი შეგნების, მოქალაქეობრივი მოვალეობისა და მისი შესრულებისადმი პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის შემდგომ ჩანერგვას.

წელს უნდა გაიცეს 30 მილიონი ახალი პასპორტი, ყოველ მომდევნო წელს — 42-42 მილიონი. ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა ეს სამუშაო მოაწყონ მწყობრად და ორგანიზებულად, ზუსტად დადგენილ ვადებში, მილიციის ორგანოებს აქტიური დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, მშრომელთა კოლექტივებმა. საჭიროა, რომ პასპორტების გადაცემის თვით რიტუალი იყოს ზეიმი, ხელს უწყობდეს მართლწესრიგის, დისციპლინის განმტკიცებას. სწორედ იქცევიან იქ, სადაც დოკუმენტებს გადასცემენ რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში, და ამით განსაკუთრებულ ზეიმურობასა და მნიშვნელობას ანიჭებენ ამ აქტს.

სსრ კავშირის მოქალაქის პასპორტი... დაე თითოეულმა იგი ატაროს პირნათლად და ღირსეულად, წმინდად შეასრულოს ჩვენი საბჭოთა ხელმწიფოს კანონები და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები, ყოველნაირად შეუწყოს ხელი სამშობლოს შემდგომ აყვავებას!

ჩვენი ზვალინდელი დღე

საქართველო მეათე ხუთწლედში



საქართველოს სს რესპუბლიკაში 35-39 პროცენტით გაორკეცდეთ სამრეწველო პროდუქციის მოცულობა. გავითვალისწინოთ ელექტროტექნიკური, ჩარხსაინსტრუმენტო და ქიმიური მრეწველობის უპირატესი ზრდა. უზრუნველყოთ ელექტროენერგეტიკის შემდგომი განვითარება ძირითადად ჰიდროენერგორესურსების გამოყენების გზით, გავადიდოთ ელექტროენერგიის გამომუშავება 1,5-ჯერ. დავამთავროთ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. განვავითაროთ მსუბუქი და კვების მრეწველობა, განსაკუთრებით მეღვინეობა, გავითვალისწინოთ მოქმედ საწარმოთა ფილიალების განლაგება მთიან და მთისწინეთის რაიონებში შრომითი რესურსების უფრო სრული გამოყენების მიზნით.

21-24 პროცენტით გავადიდოთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა. უზრუნველყოთ ტექნიკური და მრავალწლოვანი სუბტროპიკული კულტურების ნარგავების შემდგომი გაფართოება და მოსავლიანობის ამაღლება, მოვსპოთ მრავალწლოვან ნარგავთა სიმეჩხერე. 1980 წლისათვის ჩაის ფოთლის წარმოება გავზარდოთ 355 ათას ტონამდე, უურძნის საშუალო წლიური მოსავალი გავადიდოთ დაახლოებით 1,5-ჯერ. გავაფართოოთ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება და ავამაღლოთ მისი პროდუქტიულობა. განვავორციელოთ მიწების რწყვის სამუშაოები 60 ათას ჰექტარ ფართობზე და ამოშრობა კოლხეთის დაბლობისა 40 ათას ჰექტარზე, გავაუმჯობესოთ მელიორირებული მიწების გამოყენება.

უზრუნველყოთ შავი ზღვის სანაპიროზე და მთიან რაიონებში საკურორტო ზონებისა და ტურისტული გაზების შემდგომი განვითარება.

პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცკ-ის პროექტიდან.

მეათე ხუთწლედის ვარიანტზე

დამკვრელური შრომით დაიწყეს

თბილისი. („კომუნისტის" კორ. რ. ჭელიძე). დამკვრელურად დაიწყეს ახალი წელიწადი ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის მშრომელებმა, რომლებიც გრაფიკს იცავენ, ყოველდღიურად 150 ტონა თუჯს და 30 ტონა ფოლადს უშვებენ.

— ახალი ხუთწლედის ანგარიშში იანვრის პირველ დღეებში უკვე გამოშვებულია 600 ტონა თუჯი და ფოლადი, — თქვა საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივანმა — ჯ. მანჯგალაძემ, — შრომითი ენთუზიაზმი მაღალია. ს. კუპრაძის, ლ. წიკლაურის, ხ. დუდაშვილის მეყალიბეთა, გ. კურტანიძის, ა. ჭყოიძის, ო. გოდიშვილის, ვლ. იაშვილის, გ. ბასილაშვილის მეკოპეთა ბრიგადების ინიციატივით, გაიშალა შეჯიბრება სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების ღირსეულად შეხვედრისათვის.

ამ ბრიგადების მაგალითისამებრ საწარმოს სხვა მოწინავე ბრიგადებმაც ვალდებულება იკისრეს 22 იანვრისათვის გაანაღდონ წლის პირველი თვის გეგმა, ხოლო 25 თებერვლისათვის — პირველი კვარტალისა.

ახალი ვალდებულება

თბილისი. („კომუნისტის" კორ.). № 3 სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი რ. ბუაძე) № 2 სამკერვალო საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც ვ. ბაღათურია ხელმძღვანელობს, სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების აღსანიშნავად ვალდებულება იკისრა იანვრის დავალება 22 რიცხვისათვის, ხოლო ორი თვის გეგმა კომუნისტთა დიდი ფორუმის გახსნის დღისათვის გაანაღდოს. მოწინავე ბრიგადის თოასნობას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი და პირველ დღეებიდანვე რიტმულად, გამართულად მუშაობენ საამქროები, ბრიგადები.

იანვრის ოთხი დღის დავალება გადამეტებით შესრულდა. კომუნისტთა დიდი ფორუმის აღსანიშნავად დამკვრელური შრომა დღითიდღე ძლიერდება.

ინიციატორი დაპირებას ასრულებს

ვადამდე გავანაღდოთ იანვრის დავალება და თვის გეგმის გადამეტებით დავამზადოთ 2 ათასი მანეთის პროდუქცია. ეს ვალდებულება იკისრა თბილისის სამენმასალათა კომბინატის კერამიკული საამქროს კოლექტივმა, რომელსაც ი. ცურაიშვილი ხელმძღვანელობს. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა პლასტმასის საამქროს კოლექტივმა, რომელსაც რ. ჯანელიძე თავკაცობს.

□ თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივმა იანვრის გასულ დღეებში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 600 ტონა თუჯი და ფოლადი.

□ იანვრის დავალება 22 რიცხვისათვის — ასეთი ვალდებულება იკისრა მკერავთა ბრიგადამ, რომელსაც ვ. ბაღათურია ხელმძღვანელობს.

□ გარდაბნელი მებოსტნეები ახალი ხუთწლედის პირველ დღეებში.

ხოფელი: ხაქმე ფქმთაკრშიც ბევრია

ბოსტნეულის პირველი ტონები

ბარდბანი. („კომუნისტის" საკ. კორ. ზ. მერკვილაძე). ახლა რაიონში ენერგიული და შემოქმედებითი შრომის მძაფრი დღეებია. საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ განიხილავენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებს 1976-1980 წლებისათვის და იღებენ მოქმედების კონკრეტულ ღონისძიებებს.

ახალი ხუთწლედის პირველი დღეები რაიონში მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით აღინიშნა. მებოსტნეები, რომლებმაც წარშინ გადაჭარბებით გაანაღდეს ბოსტნეულის წარმოების სახელმწიფო გეგმა, აქტიურად შეუდგნენ კვალსათბურების მოშენებას. დღეისათვის კვალსათბურების 35-40 პროცენტი უკვე მზად არის, ტემპი კიდევ უფრო ძლიერდება.

10 იანვრიდან მებოსტნეები დაიწყებენ საადრეო კომბოსტოს თესვას. ამჟამად პამიდვრის, ბადრიჯნის, წიწაკის და სხვა ბოსტნეული კულტურების თესლს იმარაგებენ, დათესვა კი თებერვლის ბოლო რიცხვებშია გათვალისწინებული.

მებოსტნეებმა იანვრის პირველ დღეებში უკვე დაამზადეს და ჩაბარეს სახელმწიფოს ოჩრახუშის, ბოლოკის, ჭარხლისა და სხვა ბოსტნეულის პირველი ტონები.

ზოგიერთ კაუჩუკს

აზერბაიჯანის სსრ. მინგეჩაურის ტექნიკური რეზინის ქარხნის ახალ საამქროში დაიწყეს რეზინის რეგენერატის გამოშვება, რომელიც ზოგავს ძვირადღირებულ კაუჩუკს. ამ წარმოების ამუშავებით მთლიანად დამთავრდა საწარმოს მშენებლობა, რომელიც პროდუქციას უზზავნის ქვეყნის შვიდასზე მეტ ქალაქს.

რეგენერატს, რომლის ნედლეულია მწყობრდან გამოსული საბურავები, იყენებენ რეზინის ნარევების შემადგენელ ნაწილად და კაუჩუკთან ერთად ხმარობენ სალტეებისა და სხვა პროდუქციის წარმოებისათვის.

(საკდესის კორ.).

საიმედოობა გარანტირებულია

ვოლგის საავტომობილო ქარხნის „ვაზ-2101" მარკის მცირელიტრაჟიან მანქანას მეორედ მიენიჭა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. ხელმეორე ატესტაციას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. განხორციელდა ავტომობილის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებები. მისი ძარა უფრო ჰერმეტული გახდა, შემცირებულია ძრავის გამონაბოლქვი გაზების ტოქსიკურობა.

ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა ავრეთვე „ვაზ-21011" მარკის ავტომობილს. ახლა ოთხივე მოდელის „ჟიგული" საპატიო ხუთკუთხა ნიშნით გამოდის.

ტოლიატი,
კუიბიშევის ოლქი.

(საკდესის კორ.).

ვიზიტი გრძელდება

ხაზგასმით აღინიშნა, რომ საუბრებით ინარჩუნებს აქტუალობას დებულებები, რომლებიც დადასტურებულია ერთობლივ კომუნიკეში 1974 წლის დეკემბერში გამართული ხაბეთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დელეგაციების მოლაპარაკების შესახებ.

ჯ. ხორხა ამავე დღეს ლენინგრადში ჩავიდა.

(საკდესი).

ახლახან გამოიცა

უკრაინის „პოლიტგამმა", გამომცემლობებმა „უზბეკისტანმა" და „ლიესმამ" (რიგა) უკრაინულ, უზბეკურ და ლატვიურ ენებზე გამოსცეს ბროშურები, რომლებშიც დაბეჭდილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი პარტიის XXV ყრილობისათვის „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი".

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა წიგნი „კომუნისტური პროპაგანდის მეცნიერული საფუძვლები". იგი შეიცავს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების პარტიულ და მეცნიერ მუშაკთა საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალებს, რომელიც ამა წლის თებერვალში გაიმართა მოსკოვში. კრებული იხსნება სიმპოზიუმის მონაწილე დელეგაციების ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ა. სუსლოვის გამოსვლით.

წიგნში განხილულია კომუნისტური პროპაგანდის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემები, ასახულია მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების იდეოლოგიური საქმიანობის მდიდარი გამოცდილება.

(საკდესი).

თბოომილეგი

რიაზანის ლენინური კომკავშირის სახელობის ელექტრონული ხელსაწყოების ქარხნის საკვლევლაბორატორიის სპეციალისტებმა შექმნეს დეტალების თერმული დამუშავების სპეციალური მოწყობილობა. ამისათვის პირველად ფართოდ გამოიყენეს ეგრეთწოდებული თბომილები.

ჩვეულებრივი თერმული დამუშავების დროს ლითონის დეტალებს ცეცხლთან ახურებენ, ათავსებენ მაღალი სიხშირის დენების ველში, ასხივებენ ინფრაწითელი სათურებით. იმაზე, თუ როგორ წარიმართება ეს პროცესები, დიდად არის დამოკიდებული ნაწარმის ხარისხი.

თბომილების სამსახურის ეადა მრავალი ათასი საათით განისაზღვრება. ეს მილები უფრო იაფი ტრადიციულ თბომატარებლებზე, რომლებსაც მრეწველობაში იყენებენ.

ახალი მოწყობილობა შეიძლება წარმატებით გამოიყენონ სხვადასხვა რადიოტექნიკურ სქემებში, გასაცებელ დანადგარებში — ჩვეულებრივ საოჯახო მაცივრებში.

(საკდესის კორ.).

ჩვენს დიად სამშობლოში

ბაშკირეთის ასსრ. უფის ლენინის ორდენოსან ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში დამთავრდა გამშვები ობიექტის — მეცხრე ხუთწლედის უნიკალური ნაგებობის — „ელოუ-ავტის" მშენებლობა. იგი საშუალებას იძლევა მეტად გადიდდეს პროდუქციის გამოშვება.

დამონტაჟებულია ტექნოლოგიური კოლონები, ახობით კოლონა მეტრი მილები.

სურათზე: ნავთობგამტარი ობიექტი „ელოუ-ავტი".

ვ. ვონლობას ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).



მიფრინავს „კოსმოს-787"

1976 წლის 6 იანვარს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-787".

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა, რომელიც გაანგარიშებს კოსმოსური სივრცის კვლევას, ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამომთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

სკკპ XXV ყრილობის უფასოდ

ჩვენი ხვალინდელი დღე

გაანალიზეთ ხუთწლედის ეროვნული პროგრამა

ენერგეტიკის მოპავალი

საქართველოს სხ რესპუბლიკაში მეათე ხუთწლედში ელექტროენერგიის გამომუშავება 1,5-ჯერ გაიზრდება.

პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცკ-ის პროექტიდან.

საქართველოს ენერგოსისტემა ამჟამად 60 ჰიდროელექტროსადგურსა და თბოელექტროსადგურს აერთიანებს, რომელთა საერთო სიმძლავრე 2.670 ათასი კილოვატია; ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრეა 1.120 ათასი კილოვატი, ხოლო თბოელექტროსადგურებისა 1.550 ათასი კილოვატი. ელექტროსადგურების გარდა ენერგოსისტემაში შედის ელექტროქვესადგურები და სხვადასხვა ძაბვისა და სიმძლავრის ელექტროგადამცემი ხაზები. საქართველოს სხვადასხვა ძაბვის ქსელის საერთო სიგრძე 75.000 კილომეტრს აღემატება.

საქართველოს ენერგოსისტემის ყველა ელექტროსადგურის ელექტროენერგიის გამომუშავებამ გასული წლის ბოლოს 11,5 მილიარდ კილოვატ-საათზე მეტი შეადგინა, მათს შორის ჰიდროელექტროსადგურებისამ — 2,5 მილიარდ კილოვატ-საათზე მეტი, ე. ი. 22 პროცენტი, ხოლო თბოელექტროსადგურებისამ — 8.960 მილიარდი კილოვატ-საათი, აქედან 70 პროცენტი თბილისის სახელმწიფო რაიონულ თბოელექტროსადგურზე მოდის, რომელიც საქართველოს ძირითადი ბაზისური ელექტროსადგურია.

როგორ ნაწილდება ამ ელექტროენერგიის ხარჯი? ელექტროენერგიის 70 პროცენტის გამომუშავება ხდება აღმოსავლეთ ნაწილში, ამიტომ საჭირო ხდება ყოველწლიურად აღმოსავლეთიდან დასავლეთს ზაზებით გადაცემეთ დიდი სიმძლავრენი. წლის მანძილზე ო�ამილიარდ კილოვატ-საათს აჭარბებს. ცხადია, ეს ამცირებს ეკონომიურად ენერგოსისტემის მუშაობის მდგრადობას, რადგან დასავლეთ საქართველოში საჭირო საბაზისო სიმძლავრე არ არსებობს.

საქმთავარენერგოს სისტემაში ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელების გარდა, რომლებიც ენერგიას გამოიმუშავებენ და მას მომხმარებელს გადასცემენ, არსებობს საწარმოები, რომლებიც ელექტროენერგიას არ იძლევიან, მაგრამ აუცილებლად საჭიროა როგორც ელექტროსადგურები; ასეთია — ცენტრალური საძიებლოსადგურები, რომელიც მთელ ენერგოსისტემის ოპერატიულ მართვას ახორციელებს, საძიებლო და ტექნოლოგიური მართვის სამუშაოებს საწარმო, რომელიც კავშირის არხებით, ტელემექანიკით, აგრეთვე რადიოკავშირით ენერგოსისტემის ექსპლოატაციას უზრუნველყოფს; საქენერგორემონტი, რომელიც ძირითადად მოწყობილობის კაპიტალურ რემონტს ეწევა; ე. წ. საქენერგოგაწყობა, რომლის მოვალეობაში ელექტროენერგეტიკული მოწყობილობის რემონტი და გასწორება-გაწყობა შედის, აგრეთვე სარელეო დაცვის და ავტომატიკის სისტემის სამსახური და სხვ. ამ საწარმოების გარეშე თანამედროვე ენერგოსისტემის ექსპლოატაციის უზრუნველყოფა შეუძლებელია.

მთლიანად ენერგოსისტემას დიდი კოლექტივი — 15 ათასი კაცი ემსახურება. ნაგებობების, სოფლის და კომუნალური ქსელების კაპიტალურ რემონტს ახორციელებს ორი სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტი.

მეცხრე ხუთწლედში ელექტროსადგურების სიმძლავრე 1,35 გიგავატამდე გაზრდა, გვემა კი 1,7 ოთვალისწინებდა. ვერ ამოქმედდა ენგურის კასკადის ძირითადი ჰიდროელექტროსადგური, რომლის სიმძლავრე 1.300 ათასი კილოვატია; ელექტროსადგურებში სიმძლავრეთა ამოქმედების დაგვიანება არ შესრულებულა მერვე ხუთწლედში. ყოველივე ამან, ცხადია, უარყოფითი გავლენა მოახდინა სახალხო მეურნეობის და მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების დონეზე.

თვითონ განსაჯეთ: თუ საბჭოთა კავშირში ყოველ მცხოვრებზე ელექტროენერგიის მოხმარება სიმუალოდ წლიურად 3.800 კილოვატ-საათს შეადგენს, საქართველოში ეს მაჩვენებელი 2.400 კილოვატ-საათს არ აღემატება (რითაც დაახლოებით 8-9 ადგილზე ვართ ჩვენს ქვეყანაში).

ცხადია, ყოველივე ეს დიდი ამოცანის წინაშე გვაყენებს, და. იმედია, მომავალი წლები, ახალი ხუთწლედი ახალი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს ენერგეტიკის განვითარებაში. „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში“ საქართველოში ელექტროენერგიის გამომუშავების ზრდას 1,5-ჯერ ითვალისწინებს.

რა გზით უნდა განხორციელდეს ეს დიდი ამოცანა? საქართველოს ენერგეტიკის განვითარების პერსპექტიული გეგმით მწყობრში უნდა ჩადგეს მხოლოდ ამჟამად მშენებარე ჰიდროელექტროსადგურები, რომელთა მშენებლობა ჯერ კიდევ განლილ ხუთწლედებში დაიწყო. ეს არის ენგურის ჰიდროელექტროსადგური 1.300 ათასი კილოვატი სიმძლავრისა, ფინვალჰესი — 130 ათასი კილოვატი სიმძლავრისა, ვარციხის ჰესების კასკადი — 176 ათასი კილოვატი სიმძლავრისა. უნდა გაიზარდოს ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის სიმძლავრე, სადაც დამატებით უნდა დაიდგას 110 ათასი კილოვატიანი სიმძლავრის აგრეგატი და საათში 220-220 ტონა ორთქლის სიმძლავრის ორი ქვაბი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა ძალიან რთულია და დიდ დროს მოითხოვს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეათე ხუთწლედში რომელიმე ახალი ჰიდროელექტროსადგურის მწყობრში ჩადგომა არ მოხერხდება. ამრიგად, 1980 წლის ჩათვლით საქართველოს ენერგოსისტემის სიმძლავრე 1.700 ათასი კილოვატით გადიდდება და 1980 წელს 4.370 ათას კილოვატს მიაღწევს, გამომუშავებული იქნება 16,4 მილიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერგია. ამასთან ვარციხის ჰესები სეზონური იქნება, ხოლო ენგურჰესი — პიკური.

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების დიდი პერსპექტივებია დასახული სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ისტორიულ დადგენილებაში „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. მასში ენგურჰესის დამთავრებასთან ერთად გათვალისწინებულია ორი ახალი ჰიდროელექტროსადგურის — ხიდონის (მდინარე ენგურზე) და ნამახვანის (მდინარე რიონზე) მშენებლობა, რომელთა სიმძლავრე შესაბამისად 1.100 ათასი და 730 ათასი კილოვატი უნდა იყოს. ამ დადგენილებით დასავლეთ საქართველოში უნდა აშენდეს მძლავრი თბოელექტროსადგური.

რა სამუშაოები მიმდინარეობს ამ ძნიშვნელოვანი დავალების განხორციელებისათვის? ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის საპროექტო დავალება შედგენილია, ხოლო ხიდონჰესზე აზუსტებენ მომავალი სადგურის კვეთს. დასავლეთ საქართველოს თბოელექტროსადგური, რომლის მშენებლობაც გალის რაიონშია გათვალისწინებული (პროექტი უახლოეს წლებში შედგება).

ვფიქრობთ, უახლოეს მომავალში საქართველოს ენერგოსისტემას შეემატება ელექტროსადგურის პირველი რიგი, რომლის სიმძლავრე 900-1000 ათასი კილოვატი იქნება. დასავლეთ საქართველოში ასეთი მძლავრი საბაზისო ელექტროსადგური, ხოლო აღმოსავლეთში თბილისერესი, აგრეთვე საპაკო სადგურ ენგურჰესის არსებობით გადაიჭრება საქართველოს სახალხო მეურნეობის საბაზისო და საპიკო სიმძლავრით უზრუნველყოფის საკითხი.

უკანასკნელ წლებში გავრცელდა აზრი, რომ რაკი საქართველო ჰიდროენერგორესურსებით მდიდარ ქვეყანაა, პირველ რიგში ეს რესურსები უნდა გამოვიყენოთო. ამ აზრს კორექტირება სჭირდება, რადგან თანამედროვე ენერგოსისტემის ნორმალური მუშაობისათვის აუცილებელია ჰიდროელექტროსადგურების და თბოელექტროსადგურების მუშაობის გონივრული შეერწყმა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ენერგეტიკული სიმძლავრის და ელექტროენერგიის მოხმარების და გამომუშავების ბალანსის ნაწილში საქართველოს ენერგოსისტემა უკვე ამჟამად დეფიციტურია, ე. ი. მოხმარება უფრო მეტია, ვიდრე ელექტროენერგიის გამომუშავება. მარშან ელექტროენერგიის დეფიციტმა 400 მილიონი კილოვატ-საათი შეადგინა. ეს დეფიციტი შეივსო ამიერკავკასიის გაერთიანების სხვა ენერგოსისტემების ხარჯზე, სადაც საქმთავარენერგო შედის. სრულიად ნათელია, რომ დეფიციტი კიდევ უფრო გაიზრდება, ვიდრე საექსპლოატაციოდ არ გადაეცემა ახალი ელექტროსადგურები, რადგან რესპუბლიკაში ამ ენერგიის მოხმარება ყოველწლიურად 800-დან 1.000 ათას კილოვატ-საათამდე დიდდება.

ამიტომ აუცილებელია დავამთავროთ მშენებარე ელექტროსადგურების აგება და პირველ რიგში დავიწყოთ მძლავრი თბოელექტროსადგურის მშენებლობა დასავლეთ საქართველოში.

მომხმარებელთა ელექტროენერგიით საიმედო მომარაგება დიდად არის დამოკიდებული მაღალი და დაბალი ძაბვის ელექტროქსელების განვითარებაზე. ელექტრომომარაგების შედარებით რაციონალური სქემა წრიული მომარაგებაა, რომელიც მოიხმარებლის ორმხრივ კვებას უზრუნველყოფს. ეს ყველა ძაბვის ხაზებს ეხება. საქართველოს ენერგოსისტემის კონფიგურაცია სპეციფიკური, რაც თვით რესპუბლიკის ტერიტორიის კონფიგურაციის მიზეზია. ეს გარკვეულად არ გვაძლევს წრიული კვების საშუალებას და რადიალურ კვებასაც კი ართულებს. ამიტომ საქართველოს ენერგოსისტემაში იქმნება მძლავრი ენერგოკვანძები — მსგავალი ქვესადგურები 220 კილოვოლტი სიმძლავრისა, რომლებიც ასეთივე ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებით იკვებებიან. ენერგოსისტემაში ასეთი სახის ათამდე ქვესადგური არსებობს.

გათვალისწინებულია ასეთი კვანძების მშენებლობა სოხუმში, კახეთში, ახალციხეში. 1976-80 წლებში საკვანძო ქვესადგურები შეიქმნება იმ რაიონებში, სადაც დატვირთვა მეტია. პარალელურად განვითარდება გამანაწილებელი ქსელები და პირველ რიგში სოფლად. მეცხრე ხუთწლედის დასასრულს, 22 დეკემბერს ენერგეტიკოსებმა თავიანთი დღესასწაული იზეიმეს. მარშან ეს თარიღი გოელროს გეგმის 55-ე წლისთავს დაემთხვა. დიდი გამარჯვებით შეხვდნენ მას ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკოსები, სამშობლოს უპატაჟეს, რომ ელექტროენერგიის გამომუშავებამ 1 ტრილიონ 36 მილიარდ კილოვატ-საათს მიაღწია. სასიხარულოა, რომ ამ დიდ მაჩვენებელში საქართველოს ენერგეტიკოსების წვლილიც არის, რომლებმაც 10 დეკემბერს გაანადღეს ელექტროენერგიის გამომუშავების მეცხრე ხუთწლიანი დავალება.

ი. მამალაძე,
„ხაქმთავარენერგოს“ მთავარი ინჟინერი.

ფრლის ციფრები

ელექტროენერგია ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების მძლავრი მამოძრავებელი ძალაა. სწორედ ამიტომ ამ დარგის განვითარებას განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ახალ ხუთწლედში.

1980 წლისათვის ელექტროენერგიის გამომუშავება 1340-1380 მილიარდ კილოვატ-საათამდე გაიზრდება. გათვალისწინებულია ელექტროსადგურებში ამოქმედდეს 67-70 მილიონი კილოვატი ოდენობის სიმძლავრეები, მათ შორის ატომურ ელექტროსადგურებში 13-15 მილიონი კილოვატი ოდენობის სიმძლავრეები. გაგრძელდება: 4-6 მილიონი კილოვატი სიმძლავრის თბოელექტროსადგურების მშენებლობა, სადაც დადგმება 500 და 800 ათასი კილოვატი ერთეული სიმძლავრის ენერგეტიკული ბლოკები, 1-1,5 მილიონი კილოვატი ერთეული სიმძლავრის რეაქტორიანი ატომური ელექტროსადგურებისა.

გათვალისწინებულია ელექტროენერგიის წარმოებისათვის იაფი მყარი საბიბობის უფრო ფართო გამოყენება.

ჰიდროენერგეტიკაში უნდა აშენდეს უპირატესად დიდი ჰიდროკვანძები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ კომპლექსურად გადავწყვიტოთ ელექტროენერგიის წარმოების, მიწების რწყვის, ქალაქების და სამრეწველო საწარმოების წყლით უზრუნველყოფის, ნოხნობისა და მეთევზეობის განვითარების, წყალდიდობის თავიდან აცილების ამოცანები.

აღსანიშნავია, რომ 1977 წელს უნდა დავთავრდეს ენგურჰესის მშენებლობა, საერთოდ, მეათე ხუთწლედში საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ელექტროენერგიის გამომუშავება 1,5-ჯერ უნდა გაიზარდოს და 1980 წლისათვის ელექტროენერგიის გამომუშავება 16,4 მილიარდ კილოვატ-საათს მიაღწევს.

მეცხრე ხუთწლედი რესპუბლიკის მეევნახეთა დიდი გამარჯვების წელი იყო. 1975 წელს მეევნახეებმა პირველად გადასცილდნენ ოთხასათასიან ზღუდეს და დაამზადეს 438 ათას ტონაზე მეტი ყურძენი. ახალი ხუთწლედის ძირითად მიმართულებებში აღნიშნულია, რომ ყურძნის საშუალო წლიური მოსავალი საქართველოში უნდა გავადიდოთ 1,5-ჯერ. ეს დიდი ამოცანების წინაშე აყენებს ჩვენს მეევნახეებს. ამ ზღუდეების აღება ძირითადად უნდა მოხდეს ახალი ვენახების ფართობების მომატებით საზოგადოებრივ მეურნეობებში, სიმეჩხრის მინიმუმამდე შემცირებით და, რაც მთავარია, მკვეთრად უნდა გადიდდეს ყურძნის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე.

საქართველოს მეევნახეებმა მეათე ხუთწლედის ბოლო წელს ყურძნის წარმოება 800.000-ტონიან ზღუდეს უნდა გადააცილონ. საამისოდ უახლოეს წლებში უნდა გაშენდეს 35-40 ათასი ჰექტარი ახალი ვენახები. ეს ვალდებულება მიიღო მეევნახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურმა შეკრებამ, რომელიც 1975 წლის ნოემბერში გურჯაანში გაიმართა. გადაწყდა ახალი ვენახები ძირითადად პირველ ორ წელიწადს გაშენდეს, რომ ხუთწლედის ბოლოს აქედან მოსავალი მივიღოთ.

რესპუბლიკის მეევნახეთა წინაშე დასახულია ამოცანა, რომ მკვეთრად გაუმჯობესდეს არსებული ვენახების მდგომარეობა და უფრო მეტად გაფართოვდეს საზოგადოებრივ მეურნეობათა ფართობები და მოსავლიანობა.

ჩვენი რესპუბლიკის თანამედროვე მეევნახეობა მტკიცედ ეყრდნობა ნამყენი ნერგის წარმოებას, რაზედაც სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა ფართოდ გაიშალა და პირველხარისხოვანი ნამყენი ნერგის გამოსავლიანობის გასაადიდებლად შემუშავებულია ღონისძიებათა მთელი კომპლექსი. ამ მიზნით მეევნახეობის მთელ რიგ რაიონებში შექმნილია ფილოქსერაგამძლე სანერგე ვაზის სპეციალური სადედე და სანერგე მეურნეობები. დაზუსტებულია საძირე ვაზის ჯიშების ზონალური გადაადგილების შესაძლებლობები და ვარგისი ჰიბრიდები.

აგროტექნიკური ღონისძიებების მთლიანი კომპლექსის რაციონალურად გამოყენებამ ახმეტის, მცხეთის, რუისპირის, მუკუზნის და სხვა მეურნეობებს საშუალება მისცა პირველხარისხოვანი ნამყენი ნერგის გამოსავლიანობა გაეზარდათ 60-70 პროცენტამდე. მიუხედავად ასეთი თვალსაჩინო წარმატებებისა, წინა წლებში თითქმის ყველა მეურნეობამ მოადუნა სამამულო ნამყენის წარმოებაზე ზრუნვა და რესპუბლიკური მაჩვენებლები დაეცა 25-30 პროცენტამდე.

ახალი ხუთწლედი ხარისხის ხუთწლედი იქნება. საძირე-სანამყენე მასალის ხარისხზე და ნამყენის წარმოება-გამოყენანაზე, სხვა მოქმედ ფაქტორებთან კომპლექსში, დიდად არის დამოკიდებული პირველხარისხოვანი ნერგის სიუხვე. ამიტომ მკეთრად უნდა გაუმჯობესდეს ფილოქსერაგამძლე ვაზის სადედეში აგტოტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება, განსაკუთრებით მყნობა. საჭიროა მექანიზაციის მაღალი დონე და ჭრილობათა შეხორცების ელექტროსტატიფიცირება, აგრეთვე ნამყენების სათბურის გარეშე პოლიეთილენის აპკის გამოყენება და პარაფინირებით გამოყენა. ამით მკეთრად მცირდება ნამყენის ფვითღორებულება, უმჯობესდება ხარისხი.

ნამყენის წარმოების გადამწყვეტ საფუძველს წარმოადგენს სადედეში ვაზის ფორმირება და მისი აღზრდა-მოვლა. საძირე მასალის უხვად მოცემა შესაძლებელია სადედეში ჰორიზონტალური შპალერის პრაქტიკით, სადაც მაღალხარისხოვნად უნდა მოეწყოს ნიადაგის დამუშავება სასუქების ფონზე, ყლორტების დანორმირება და მისი სწორი მიმართულების აღზრდა, ჯიშური სიწმინდე და რწყვის რაციონალური წესების გამოყენება.

ამჟამად რესპუბლიკაში არსებული სადედეების ფართობი საკმარისია იმისათვის, რომ საძირე მასალით უზრუნველყოთ ყველა მეურნეობა. ეს მაშინ თუ ყველა მეურნეობა ინტენსიურად იმუშავებს. აგროკომპლექსის განხორციელებით რესპუბლიკის სადედეებთან შესაძლებელია 50 მილიონზე მეტი სტანდარტული ლერწის მიღება, რომელიც უზრუნველყოფს 120-130 მილიონი ცალი საძირისა და 60-70 მილიონამდე მაღალხარისხოვანი ნამყენი ნერგის მიღებას.

რომ იმატოს საზოგადოებრივი მეურნეობებზე ზვრების ბარაქამ

მეევნახეობა — თანამედროვე დონეზე

...უურძნის საუშალო წლიური მოსავალი გავადიდოთ დაახლოებით 1,5-ჯერ.

პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცკ-ის პროექტიდან.

ცნობილია, რომ ნამყენი ნერგი ბავის მნიშვნელობას დაკარგავს, თუ მუდმივ ადგილზე მაღალხარისხოვნად არ დავრგავთ. ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ მუდმივ ადგილზე უმჯობესია დაირგოს სათანადოდ გამზადებული ერთწლიანი ნამყენი ნერგი მექანიზებული წესით. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი რესპუბლიკის პრაქტიკაში ვენახების გაშენება ჯერჯერობით ძირითადად ისევ ხელით მიმდინარეობს, რაც მეტსა და მეტ მუშახელს მოითხოვს. ეფიქრობთ, არ იქნება ურიგო რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა შექმნას ორმოში ვაზის ნერგის დამრგველი და ვამანყიერებელი მაღალპროფიერი სპეციალური მანქანები.

ყურძნის უხვი მოსავლის და მაღალხარისხოვანი პროდუქციის მისაღებად ჩასატარებელ აგროღონისძიებათა კომპლექსიდან დიდმნიშვნელოვანია ვაზის ფორმირება-გასხვლა და ოპტიმალური დატვირთვის განხორციელება. სამწუხაროდ, რესპუბლიკის უმრავლეს მეურნეობებში ეს საკითხი მოუგვარებელია, ყურძნის მოსავლის გეგმის მოჭარბებულად შესრულების ინტერესით აწარმოებენ ვაზების გადატვირთვას. მართალია, დატვირთული ვაზი პირველ წელს ყურძნის უხვ მოსავალს იძლევა, მაგრამ პროდუქციის დაბალი ხარისხის გარდა, სავეგეტაციო ძალის შემცირების გამო გადატვირთული ვაზები თანდათანობით კნინდებიან და ბეზეულად ხმებიან.

ავტომატიკისა და ტექნიკის პროგრესის თანამედროვე ეპოქაში ვაზის შტამბის ამოკვეთილი სიმაღლე მიუღებელია. ნაკლებ და მოჭარბებულ-ტენიან პირობებში არსებული შტამბის სიმაღლეს 50-60 სანტიმეტრის ფარგლებში ზოგიერთი მეცნიერი მიუღებლად თვლის და საჭიროდ მიაჩნია მისი სიმაღლე იყოს 70-80 სანტიმეტრი. ამ პროგრესული ღონისძიებების განხორციელება მოითხოვს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებსა და პრაქტიკოსებს. თანამედროვე ცხოვრების პრაქტიკა უარყოფს მეურნეობის ხელმძღვანელ თანამდებობებზე (დირექტორი, თავჯდომარე, უფროსი, ბრიგადირი) არასპეციალისტის მუშაობას. ახლა უკვე დრო შესაბამისმა სამინისტროებმა და ტრესტებმა გულმოდგინედ გადახედონ მათ დაქვემდებარებაში მყოფი მეურნეობების შტატებს და ყველა უბანი დაკომპლექტონ უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით.

ყურძნის უხვი მოსავლის მიღების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოლარობის წინაღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ მეტად საჭირო მეთოდს — შეყელვას, ანუ დაკავებას. ვერტიკალურად მდებარე ვაზის რქა ენერგიულად ზრდის წვერის ყლორტებს, ამცირებს რქის შუა ნაწილში მდებარე მოსავლიანი ყლორტების ნორმალურად განვითარებას და ყურძნის მოსავალს. ამის გამო მსოფლიო მევენახეობის პრაქტიკაში ფართოდ იყენებენ ვაზის შეყელვას, ანუ რქის დაკავებას.

მევენახეობის აგროკომპლექსში ერთ-ერთი მთავარი ღონისძიებაა ვაზის საყრდენზე დაყენება. აქ ძირითადია ვაზის გადაყვანა წყვილმავთულიან შპალერზე. ამ ღონისძიებით მნიშვნელოვნად იზრდება შრომის ნაყოფიერება, ყურძნის მოსავალი და პროდუქციის ხარისხი. ამასთანავე მეტად ადვილდება ძირითადი სამუშაო პროცესების მექანიზაცია.

საქართველოს მევენახეობას მეტად ძმიმე მდგომარეობაში აყენებს სიმეჩხრე. კლასიკური მევენახეობის მნიშვნელოვანი უბანი — კახეთის რაიონებიც კი დიდად დაზარალდნენ მსგავსი ვენახების სიმეჩხრით. ამ მხრივ დიდ ზარალს ნახულობენ აგრეთვე ქართლის, იმერეთისა და დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონების მევენახეები.

რესპუბლიკის ყველა მევენახემ უნდა იცოდეს, რომ ვენახის სიმეჩხრე უნდა მოსპოს ვაზის გაშენების მეორე წელსვე. ახლად გაშენებულ ვენახს გულდასმით შემოწმება სჭირდება მეორე წელს. იქ, სადაც აღმოჩნდება გაცდენილი ადგილი, შემოდგომა-გაზაფხულზე იმავე ჯიშის დაფესვიანებული ნამყენი ნერგით უნდა გამოირგოს, ხოლო მსგავიარე ვენახში გაცდენილი ადგილები შეივსება რქის ჩამუხლვით, მხრის გაგრძელებით და გადაწვენის სხვა წესების გამოყენებით.

მევენახეობის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა სასტიკი კონტროლი უნდა დაიწესონ აგროკომპლექსის მთლიანად შესრულებაზე. კონტროლი და შემოწმება ჩვენი მარტო უფლება კი არა, მოვალეობაა, საზოგადოების თვითეული წევრის უფლება და მოვალეობა.

წარმატებით რომ შესრულდეს მეათე ხუთწლედის ამოცანები, საჭიროა უფრო მეტი ზრუნვა გამოვიჩინოთ ვენახებისადმი, გამრავლოთ, დავიცვათ ქართული ვაზის დიდება.

ა. ხელაშვილი,
საოლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

ხარისხი, მხოლოდ ხარისხი

ჩაის ფოთლის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა კლანტაციაში იწყება

1980 წლისათვის ჩაის ფოთლის წარმოება გავზარდოთ 355 ათას ტონამდე...

პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცკ-ის პროექტიდან.

ციალისტური ბრძოლა ხარისხისათვის — ასეთია ლოზუნგი, **სიხარულით** აღიქვამენ სოფლის მშრომელები სკკპ ცენტრალური კომიტეტის **პროექტში** გათვალისწინებულ საკითხებს **და,** კერძოდ, **იმას, რომ** საქართველოს **მეჩაიეებმა** მეათე ხუთწლედში **უნდა** აწარმოონ **და** სახელმწიფოს მიაყიდონ **355** ათასი **ტონა** ხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

ხარისხოვანი **ჩაის** ნედლეული **რომ** მივიღოთ, **ამისათვის** საჭიროა **გადაჭრით** ამაღლდეს ყოველი ჰექტარი **მიწის** ეფექტიანობა. **ეს** რომ გაკეთდეს, **ამისათვის** სხვა ღონისძიებებთან ერთად აუცილებელია **ავამაღლოთ** სასუქების გამოყენების ეფექტიანობა.

მეცნიერებმა და სპეციალისტებმა კარგად იციან, **რომ** ორგანული **სასუქის—ნაკელის** გამოყენებით ჩვენ **შეგვიძლია** მივაღწიოთ ჩაის, სიმინდისა **და** სხვა **სასოფლო-სამეურნეო** კულტურების **უფრო** უხვ **მოსავლიანობის** ნაკლები **დანახარჯებით** და თანაც **ხარისხიანი** პროდუქციის მიღებას, **ეს** ორგანული **სასუქი** კი თითქმის **ყველგან** — **მეურნეობებსა** და **კოლმეურნეობებში** ფერმერებთან ბლომად **ყრია** და **ბევრგან** გამოუყენებელია.

